

ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საქართველოში სახელმწიფო
ინსტიტუტების მიმართ ნდობის ხარისხზე

ანა გოგოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს გიორგი გვალიას

ამავე უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

მაგისტრანტის ანა გოგოლაძის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გოგოლაძე

30.06.2017

აბსტრაქტი

მოქალაქეების სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საჯარო მოხელეების მიმართ ნდობის ხარისხზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლამ, დემოკრატიული სახელმწიფოს მართვისა და მისი გამართულად ფუნქციონირებისათვის, მრავალ ქვეყანაში სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. ნდობის ფაქტორის განმსაზღვრელი ცვლადების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც დემოკრატია მმართველობის ახლად დამკვიდრებულ ფორმას წარმოადგენს, მათ შორის საქართველოშიც. განსაკუთრებით კი იმ გარემოებაში, როდესაც ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ წლიდან წლამდე მცირდება. კვლევის ამოცანაა მოახდინოს ინსტიტუციონალურ ნდობაზე გავლენის მქონე ცვლადების იდენტიფიცირება და შეისწავლოს მათი ზემოქმედების ეფექტი ნდობის ფორმირების პროცესისას. აღნიშნული კვლევა ეფუძნება კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის (CRRC) მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების 2015 წლის კვლევის რაოდენობრივ მონაცემებს. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სახელისუფლებო შტოების მიმართ ნდობის ფორმირების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს რესპოდენტის დასახლების ტიპი, ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხის აღქმა, თანამოქალაქეების მიმართ ნდობა და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. კვლევის შედეგები საჯარო მოხელეებსა და საჯარო პოლიტიკით დაინტერესებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას მოახდინონ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის გრძელვადიანი პროგნოზირება.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ინსტიტუტები, დემოკრატიული მმართველობა, ნდობა.

Abstract

Studying the factors that influence the level of trust towards citizens, state institutions, and civil servants has gained strategic importance in many countries for governing the democratic state and its efficient functioning. Researching the variables that define the trust factors are particularly actual for those countries including Georgia where democracy is a young form of governance. Especially considering the fact that trust towards state institutions decline each year. The aim of the research is to identify the variables which have an impact on institutional trust and study the effect of their influence while forming the trust. The research is based on the quantitative data acquired by the 2015 domestic entrepreneurship concerning the social, economic and political attitudes conducted by the CRRC. Research results have shown that types of respondent location has an important role in forming the trust towards the government branches perception of the level of democracy that exists in the country, trust towards compatriots and evaluation of economic conditions of the family. Research results enables civil servants as well as those interested in public policy to predict the long term trust towards the state institutions.

Key Words : Public Institutions, Democratic Governance, Trust.